ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის გახანგრძლივებული დღის ცენტრის დებულება

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის
სახელობის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის
ბრძანება №54 01.08.2024 წ

2024 წ

ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა დამატებითი სააღმზრდელო მომსახურება (შემდგომში ,,გახანგრძლივებული დღის ცენტრი“) არის სკოლა-გიმნაზიის სასკოლო მომსახურების ფორმა დაწყებით საფეხურზე I-IVკლასებში, რომელიც მხარდაჭერილია მშობლების მიერ;
2. გახანგრძლივებული დღის ცენტრი მუშაობს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლა-გიმნაზიის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად;
3. გახანგრძლივებული დღის ცენტრი მუშაობს მშობლებთან შეთანხმებით, რათა ხელი შუწყოს თითოეული მოსწავლისთვის პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას და ხარისხიანი განათლების მიცემას.

მუხლი 2. გახანგრძლივებული დღის ცენტრის მუშაობის მიზნები

1. გახანგრძლივებული დღის ცენტრის მუშაობის მიზნებია:
   1.1 გაკვეთილზე დაწყებული სასწავლო აქტივობების გაგრძელება და განმტკიცება;
   1.2 საშინაო დავალებების შესრულება;
   1.3 დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარება;
   1.4 მოსწავლეთა განვითარებისათვის ეფექტური პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
   1.5 სწავლის პროცესში არსებული სირთულეებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარების აღმოჩენა;
   1.6 მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა;
2. გახანგრძლივებული დღის ცენტრში მეცადინეობა ნებაყოფლობითია, მშობლის სურვილითა და თანხმობით;
3. გახანგრძლივებული დღის ცენტრის მუშაობის დაგეგმვისას სკოლა-გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს ერთჯერად სრულფასოვან კვებასა და დასვენების შესაძლებლობას, ტრანსპორტირებას;
4. გახანგრძლივებული დღის ცენტრის მუშაობა ხორციელდება სკოლა-გიმნაზიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

მუხლი 3. გახანგრძლივებული დღის ცენტრის ხელმძღვანელი

1. გახანგრძლივებული დღის ცენტრის მუშაობას უძღვება დირექტორის მოადგილე-დღის ცენტრის ხელმძღვანელი;
2. გახანგრძლივებული დღის ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქციებია:
   ა) მეთვალყურეობს მოსწავლეებს ტრაპეზის მიმდინარეობისას;
   ბ) ზედამხედველობს მოსწავლეთა მუშაობას საშინაო დავალებების შესრულებისას;
   გ) ახლრციელებს მოსწავლეთა განტვირთვისთვის სხვადასხვა ტიპის თამაშებისა და სახალისო აქტივობების დაგეგმვას;
   დ) მეთვალყურეობს მოსწავლეებს ეზოში თამაშის დროს;

ე) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა გაცილებას სკოლა-გიმნაზიის შენობიდან, მეთვალყურეობს მოსწავლეების ჩასხდომას სკოლა-გიმნაზიის კუთვნილ ტრანსპორტში.

ვ)სკოლა-გიმნაზიის მძღოლი უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირებას.

3. გახანგრძლივებული დღის ცენტრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირი;
4. გახანგრძლივებული დღის ცენტრის ხელმძღვანელი თანამშრომლობს კლასის დამრიგებელთან;
5. გახანგრძლივებული დღის ცენტრის ხელმძღვანელს ნიშნავს სკოლა-გიმნაზიის დირექტორი.

მუხლი 4. გახანგრძლივებული დღის ცენტრის სამუშაო განრიგი

1. გახანგრძლივებული დღის ცენტრი ხელმძღვანელობს ქვემოთ მოცემული სამუშაო განრიგით:
   - ❖ ტრაპეზი (სადილი)
   - ❖ შესვენება (ეზოში თამაში,სპორტულ დარბაზში და ა.შ.)
   - ❖ საშინაო დავალების მომზადება
   - ❖ განტვირთვის აქტივობა
   - ❖ საშინაო დავალების მომზადება
   - ❖ სასწავლო პროცესის დასრულება
   - ❖ ტრანსპორტირება
2. გახანგრძლივებული დღის ცენტრისთვის სასწავლო პროცესი სრულდება შემდეგი გრაფიკით:
   - დაწყება13:00 - 16:00 სთ;
3. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამუშაო განრიგი არის ზოგადი და ყოველი კონკრეტული კლასის შემთხვევაში, გახანგრძლივებული დღის ცენტრის ხელმძღვანელს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება აღნიშნულ განრიგში.

მუხლი 5. გახანგრძლივებული დღის ცენტრის მუშაობის მონიტორინგი

1. გახანგრძლივებული დღის ცენტრის მუშაობას ზედამხედველობს სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;
2. დირექტორის მოადგილე-დღის ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია პერიოდულად წარუდგინოს სკოლა-გიმნაზიის დირექტორს ზეპირი ან/და წერილობითი ანგარიში გახანგრძლივებული დღის ცენტრის მუშაობის შესახებ.

მუხლი 6. გახანგრძლივებული დღის ცენტრის დებულების დამტკიცება და ცვლილების შეტანა

1. გახანგრძლივებული დღის ცენტრის დებულებას ამტკიცებს სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;
2. გახანგრძლივებული დღის ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის ინიცირების უფლება აქვს დირექციას და ამტკიცებს დირექტორი.